# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ბრძანება N 01-09/23

25 იანვარი, 2017 წ.

ქ. ბათუმი

**ბსუ-ს 2004-2005 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტ გელა გორგილაძისათვის 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბოლომდე სწავლის ვადის გაგრძელების თაობაზე**

ბსუ-ს რექტორის 2000 წლის 06 აგვისტოს N3-90§12 ბრძანებით გელა გორგილაძე ჩაირიცხა იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ,,რსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის იმ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა სხვადასხვა სასწავლო წელს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები" ბსუ-ს რექტორის 2010 წლის 19 ივლისის №3-300 ბრძანებით სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ გელა გორგილაძეს შეუწყდა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი რადგან საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ ვადაში (5 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2004-2005 სასწავლო წელს) სრულად ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები.

ბსუ-ს რექტორის 2010 წლის 19 ივლისის №3-300 ბრძანება, გელა გორგილაძის ნაწილში ბათილად ცნობის მოთხოვნით გასაჩივრდა გელა გორგილაძის მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 09 თებერვლის N3/ბ-487/15 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბსუ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010 წლის 19 ივლისის №3-300 ბრძანება (გელა გორგილაძის ნაწილში) და დაევალა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით.

**გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების მიზნით გამოიცა** ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 03 ოქტომბრის N01-09/566 ბრძანება, რომლითაც №3-300 ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი გელა გორგილაძის ნაწილში და დაევალა იურიდიულ ფაკულტეტს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიეღო გადაწყვეტილება გელა გორგილაძის სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ"-ს მე-4 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ,,შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შედეგად, იმ სტუდენტთა მიმართ, რომელთაც დარჩებათ აუთვისებელი კრედიტები (დავალიანება) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება მათთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. სტუდენტებს, რომელთა დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75-ს, უწყდებათ სტუდენტის სტატუსი, ხოლო სხვა დანარჩენთა მიმართ, თუკი წარმოების პროცესში მომართავენ ბსუ-ს დამატებითი სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლების მინიჭების თხოვნით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გაუხანგრძლივდებათ ამ ვადით სწავლების ვადა.''

ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 26 ოქტომბრის NMES31601285128 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 01 ნოემბრის N01-09/792 ბრძანებით

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ გელა გორგილაძის მიმართ დაწყებული იქნა ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გელა გორგილაძემ 2016 წლის 08 ნოემბერს N1338952 განცხადებით მომართა ბსუ-ს და მოითხოვა საგანმანათლებლო პროგრამის სრულად შესასრულებლად სწავლის ვადის გაგრძელება. აღნიშნული განცხადებისა და ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 26 დეკემბრის N1530647 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამოცემული იქნა „ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტ გელა გორგილაძისთვის გამონაკლისის დაშვების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N119 დადგენილება, რომლითაც გელა გორგილაძეს მიეცა შესაძლებლობა 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბოლომდე აითვისოს დავალიანებული კრედიტები (დადგენილ ვადაში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შედეგად).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონშესაბამისია, 75 კრედიტზე ნაკლები აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტ გელა გორგილაძეს მიეცეს შესაძლებლობა დაარეგისტრიროს (გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია) და აითვისოს აკადემიური დავალიანებები 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72 - 76-ე და 95 – 101 -ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 თებერვლის (საქმე №3/ბ-487/15) გადაწყვეტილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2016 წლის 28 დეკემბრის N119 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 01 ნოემბრის N01-09/792 ბრძანების, ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 13 იანვრის N23576 მოხსენებითი ბარათისა და ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. გელა გორგილაძეს (პ/N61002008434) უღიარდეს ბსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე 2000-2005 სასწავლო წლებში ათვისებული 201 კრედიტი (დანართი 1) და სწავლა გააგრძელოს ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლების მე-7 სემესტრიდან (2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან).

2. გელა გორგილაძის მიმართ ბსუ–ს რექტორის 2016 წლის 17 აგვისტოს №01–09/418 ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეჩერდეს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბოლომდე და განემარტოს გელა გორგილაძეს, რომ იგი უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლების გამოყენების გარეშე, სწავლა დაასრულოს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში.

3. გელა გორგილაძეს განემარტოს, რომ აკადემიური დავალიანების დაფარვის მიზნით, დადგენილ ვადებში გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუწყდება ბსუ–ს სტუდენტის სტატუსი.

4. გელა გორგილაძეს სწავლის საფასურის ოდენობად განესაზღვროს ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოქმედი ტარიფი.

5. ბსუ–ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი და აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის

შესაბამისი ვადების ამოწურვისთანავე წარმოადგინოს მონაცემები გელა გორგილაძისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ აქტის გამოსაცემად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ბრძანება ეცნობოს დაინტერესებულ პირს – გელა გორგილაძეს, რისი უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატსა და კანცელარიას.
7. ბრძანების ბსუ–ს ვებ–გვერდზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს საინფორმაციო–ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.
8. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტს და ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
10. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

***რექტორი, ასოცირებული პროფესორი*** **მერაბ ხალვაში**

დანართი 1

*დამტკიცებულია*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის რექტორის*
*2017 წლის 25 იანვრის №01-09/23*
*ბრძანებით*

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გელა გორგილაძის (61002008434) (№3-90&12 06.08.2000წ.) სწავლის გაგრძელებისათვის პროგრამული თავსებადობის განსაზღვრისა და ბსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე 2000-2005 სასწავლო წლებში შესწავლილი კრედიტების აღიარების შესახებ**

| ბსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე 2000-2005 სასწავლო წლებში შესწავლილი დისციპლინები | | | ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის ბაკალავრიატის, 2017-2018 სასწავლო წელს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპ-ბი | | აღიარებუ-ლი კრედიტები | შეფა სება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზუსტი დასახელება | კრედ. | შეფასე ბა | ზუსტი დასახელება | კრედ. | | | |
| ქართული ენის პრაქტიკული კურსი | 3 | 80 | აკადემიური წერა11402B0802 | 3 | 3 | 80 | |
| უცხო ენა | 5 | 80 | ინგლისური ენა (ზოგადი)11402B0809 | 15 | 5 | 80 | |
| უცხო ენა | 5 | 80 | | | 5 | 80 | |
| მსოფლ.ქვეყნების სახ. და სამ. ისტორია | 3 | 80 | საზღვარგარეთის ქვეყნებისსახელმწიფოსა და სამართლის ისტორია 11402B0807 | 3 | 3 | 80 | |
| მსოფლ. ქვეყნების სახ. და სამ. ისტორია | 3 | 65 | | | | | |
| საქ. სახ. და სამ. ისტორია | 5 | 65 | ქართული სამართლის ისტორია 11402B0806 | 3 | 3 | 80 | |
| ლათინური ენა | 2 | 80 | ლათინური ენა 11402B0813 A | 5 | 5 | 80 | |
| ლათინური ენა | 2 | 80 | | | | | |
| სახ. და სამ. თეორია | 5 | 80 | სამართლის მეთოდები11402B0819 | 5 | 5 | 80 | |
| სახ. და სამ. თეორია | 3 | 65 | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგ.და იურიდიული ფსიქოლოგია | 3 | 85 | ფსიქოლოგია11402B0804 | 2 | 2 | 85 | |
| რომის სამართალი | 5 | 65 | რომის კერძო სამართალი11402B0857 | 4 | 4 | 65 | |
| სახ. სამართალი | 3 | 80 | შესავალი კონსტიტუციონალიზმში11402B0824 | 3 | 3 | 80 | |
| სახ. სამართალი | 3 | 85 | საქართველოს კონსტიტუციური სამართალი11402B0820 | 5 | 5 | 85 | |
| სისხლის სამართლის ზ/ნ | 3 | 80 | სისხლის სამართლის ზ/ნ 11402B0837 | 10 | 10 | 80 | |
| სისხლის სამართლის ზ/ნ | 5 | 85 | | | | | |
| საქართველოს ისტორია | 3 | 85 | საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)11402B0801 | 3 | 3 | 85 | |
| შრომის სამართალი | 3 | 80 | შრომის სამართალი11402B0852 | 4 | 4 | 95 | |
| შრომის სამართალი | 3 | 95 | | | | | |
| ადმინისტრაციული სამართალი | 3 | 80 | ზოგადიადმინისტრაციული სამართლი11402B0834 | 5 | 5 | 85 | |
| ადმინისტრაციული სამართალი | 4 | 85 | | | | | |
| სამოქ. სამართლის ზ/ნ | 4 | 80 | შესავალი სამოქალაქო სამართალში 11402B0828 | 5 | 5 | 85 | |
| სამოქ. სამართლის ზ/ნ | 4 | 85 | | | | | |
| კრიმინოლოგია | 3 | 95 | კრიმინოლოგია11402B0838 | 4 | 4 | 95 | |
| სისხლის სამართლის გ/ნ | 4 | 80 | სისხლისსამართლისკერძონაწილი (ნაწილი I)11402B0839 | 6 | 6 | 80 | |
| პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული | 2 | 80 | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის გ/ნ | 5 | 85 | სისხლისსამართლ ისკერძონაწილი (ნაწილი II)11402B0840 | 5 | 5 | 85 | |
| ფილოსოფია | 3 | 95 | ფილოსოფიის შესავალი11402B08 03 | 2 | 2 | 95 | |
| სამოქალაქო სამართლის გ/ნ | 5 | 80 | სანივთო სამართალი11402B 0830 | 5 | 5 | 80 | |
| სამოქალაქო სამართლის გ/ნ | 5 | 85 | სახელშეკრულებო სამართალი11402B 0831 | 5 | 5 | 85 | |
| საგადასახადო სამართალი | 2 | 80 | საქართველოს საგადასახადო სამართალი11402B 0847 | 5 | 5 | 80 | |
| ეკოლოგიური სამართალი | 3 | 85 | ეკოლოგიური სამართალი11402B 0844 | 4 | 4 | 85 | |
| კრიმინალისტიკა | 3 | 80 | კრიმინალისტიკის საფუძვლები11402 B0860 | 5 | 5 | 85 | |
| კრიმინალისტიკა | 3 | 85 | | | | | |
| საერთაშორისო საჯარო სამართალი | 3 | 80 | საერთაშორისო საჯარო სამართალი I (ზოგადი ნაწილი)11402B082 6 | 5 | 5 | 80 | |
| საერთაშორისო საჯარო სამართალი | 3 | 85 | საერთაშორისო საჯარო სამართალი II (განსაკუთრებულ ი ნაწილი) 11402B0827 | 5 | 5 | 85 | |
| სამოქალაქო სამართლის პროცესი | 3 | 80 | სამოქალაქო საპროცესო სამართალი 11402B0833 | 6 | 6 | 80 | |
| სამოქალაქო სამართლის პროცესი | 5 | 65 | | | | | |
| ინტელექტუალური საკუთრების სამართალი | 2 | 80 | ინტელექტუალურ ი საკუთრების სამართალი11402B 0854 | 4 | 4 | 80 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადმინისტრაციული სამართლის პროცესი | 3 | 65 | ადმინისტრაციული სამართლის პროცესი11402B0836 | 5 | 5 | 65 | |
| სამეწარმეო სამართალი | 3 | 85 | საკორპორაციო სამართალი 11402B0858 | 5 | 5 | 85 | |
| საოჯახო სამართალი | 3 | 80 | საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი11402B0856 | 4 | 4 | 80<br>80 | |
| მემკვიდრეობითი სამართალი | 2 | 80 | | | | | |
| საქ. პროკურატურის ორგანიზაცია და ფუნქციები | 2 | 80 | სისხლის სამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა 11402B0863 | 4 | 4 | 80<br>80 | |
| მოკვლ.და გამოძიების ორგანიზაცია | 2 | 80 | | | | | |
| სისხლის სამართლის პროცესი | 5 | 80 | სისხლის საპროცესო სამართალი11402B0841 | 10 | 10 | 80 | |
| სისხლის სამართლის პროცესი | 5 | 65 | | | | | |
| საზღვ. ქვეყნების კონსტ. სამართალი | 2 | 80 | საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი11402B0825 | 5 | 5 | 80 | |
| საზღვ. ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი | 3 | 65 | | | | | |
| ევროპის სამართალი | 2 | 80 | ევროპის სამართალი 11402B0850 | 4 | 4 | 80 | |
| ნოტარიატი | 3 | 80 | სანოტარო სამართალი11402B0859 | 4 | 4 | 80 | |
| პენიტენციალური სამართალი | 2 | 80 | სასჯელთაღსრულებითი სამართალი11402B0865 | 5 | 5 | 80 | |
| საერთაშორისო სისხლის სამართალი | 2 | 80 | საერთაშორისო სისხლის სამართალი11402B0866 | 3 | 3 | 80 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადამიანის უფლებათა სამართალი | 2 | 80 | ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი11402B0822 | 4 | 4 | 80 | |
| დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები | 2 | 80 | დანაშაულის კვალიფიკაცია11402B0864 | 4 | 4 | 80 | |
| სამართალდამცავი ორგანოები | 3 | 85 | შესავალი სამართალმცოდნეობაში | 4 | 4 | 85 | |
| საარქივო საქმე და საქმის წარმოება | 3 | 80 | საერთო სასამართლოებში საქმის წარმოების საფუძვლები | 3 | 3 | 80 | |
| ხელისუფლების კონტროლის ორგანიზაცია | 5 | 80 | დემოკრატია და მოქალაქეობა | 3 | 3 | 80 | |
| სოც. უზრუნველყოფის სამართალი | 2 | 80 | ადმინისტრაციული სამართლის ზ/ნ | 3 | 3 | 80 | |
| სასამართლო ექსპერტიზის პრობლემები | 2 | 80 | - | - | - | - | |
| შედარებითი სისხლის სამართალი | 2 | 80 | - | - | - | - | |
| მტკიცებულებითი სამართალი | 2 | 80 | - | - | - | - | |
| ეროვნული კულტურის ისტორია | 2 | 80 | - | - | - | - | |
| მსოფლიო ქვეყნ. კულტურის ისტორია | 2 | 80 | - | - | - | - | |
| ეკონ. თეორია | 3 | 80 | - | - | - | - | |
| საგანგ. სიტუაც. და სამოქ. თავდაცვა | 3 | 80 | - | - | - | - | |
| ხელისუფლების ორგანიზაციის თანამ.პრობლემები | 2 | 80 | - | - | - | - | |
| ავტონომ.რესპუბლიკების კონსტ.სამთ.რეგულირება | 2 | 80 | - | - | - | - | |
| საქართველოს გეოგრაფია | 2 | 80 | - | - | - | - | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აგრარული სამართალი | 3 | 85 | - | - | - | - | |
| ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა | 2 | 80 | - | - | - | - | |
| კონსტიტუციური იუსტიცია | 2 | 80 | - | - | - | - | |
| საფინანსო სამართალი | 3 | 85 | - | - | - | - | |
| საბუღალტრო აღრიცხვა | 2 | 80 | - | - | - | - | |
| საერთაშ. ჰუმანიტარული სამართალი | 2 | 80 | - | - | - | - | |
| გაკოტრების სამართალი | 2 | 80 | - | - | - | - | |
| სასამართლო ფსიქიატრია | 3 | 80 | - | - | - | - | |
| სასამართლო მედიცინა | 3 | 80 | - | - | - | - | |
| პოლიტიკურ მოძღვრების ისტორია | 3 | 85 | - | - | - | - | |
| რელიგიის ისტორია | 2 | 80 | - | - | - | - | |
| ლოგიკა | 3 | 85 | | | | | |
| სახ. და სამართლის თეორიის პრობლემები | 2 | 80 | - | - | - | - | |
| საკურსო | | 65 | - | - | - | - | |
| **სულ** | **246** | | | 197 | 201 | | |